(1994)

<u>დეკლარაცია</u> დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის მონაწილე სახელმწიფოების სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობისა და საზღვრების ხელშეუხებლობის დაცვის შესახებ

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის მონაწილე სახელმწიფოების მეთაურები,

ხელმძღვანელობენ რა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის მონაწილე სახელმწიფოების ხალხთა მისწრაფებით დაიცვან და განამტკიცონ ტრადიციულად მჭიდრო მეგობრული კავშირი და კეთილმეზობლური ურთიერთობა.

მხედველობაში იღებენ, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცებასთან დაკავშირებული პრობლემები თანამეგობრობის მონაწილე სახელმწიფოთა ტერიტორიებზე, საერთოევროპული და საერთაშორისო უშიშროების უზრუნველყოფის, თანამეგობრობის მონაწილე სახელმწიფოთა სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის, საზღვრების ხელშეუხებლობის დაცვის კონტექსტით.

გამოთქვამენ სერიოზულ შეშფოთებას სხვადასხვა ხასიათის შეიარაღებული კონფლიქტების გამო,

ხელმძღვანელობენ საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული ნორმებით, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების, ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის მიზნებითა და პრინციპებით, აგრეთვე დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ფუძემდებელი დოკუმენტებით, პატივს მიაგებენ, აგრეთვე, ადასტურებენ ერთმანეთის ტერიტორიულ მთლიანობას, საზღვრების ურღვეობას, უარს ამბობენ კანონსაწინააღმდეგო ტერიტორიულ შენაძენებსა და სხვისი ტერიტორიის დაქუცმაცებისთვის გამიზნულ ნებისმიერ მოქმედებაზე.

ითვალისწინებენ ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობის, ხალხთა თანასწორუფლებიანობისა და თვითგამორკვევის პრინციპებს, უარყოფენ და გმობენ ძალის ან ძალის დამუქრების გამოყენებას,

შეგნებული აქვთ, რომ ურთიერთდაკავშირებულია თანამეგობრობის მონაწილე სახელმწიფოთა უშიშროება,

როგორც თანამეგობრობის განმტკიცების საერთო მიზნების ერთგულნი,

აცხადებენ, რომ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის მონაწილე სახელმწიფოები:

1. უზრუნველყოფენ თავიანთ ურთიერთობაში სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობისა და სახელმწიფო საზღვრების ურღვეობის პრინციპებს;

2. ადასტურებენ, რომ აგებენ რა თავიანთ ურთიერთობას, როგორც მეგობარი სახელმწიფოები, თავს შეიკავებენ სამხედრო, პოლიტიკური, ეკონომიკური ან ნებისმიერი სხვა ფორმის ზეგავლენისაგან, მათ შორის, ბლოკადისაგან, რომ მხარს არ დაუჭერენ და არ გამოიყენებენ სეპარატიზმს თანამეგობრობის მონაწილე რომელიმე სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობისა და ხელშეუხებლობის, აგრეთვე, პოლიტიკური დამოუკიდებლობის წინააღმდეგ.

3. ამტკიცებენ, რომ ტერიტორიების მიტაცება ძალის გამოყენებით არ შეიძლება აღიარებულ იქნეს, ხოლო სახელმწიფოთა ტერიტორიების ოკუპაცია _ გამოყენებული საერთაშორისო აღიარების ან მისი სამართლებრივი სტატუსის შეცვლის თავსმოხვევისათვის.

4. გამოთქვამენ რწმენას, რომ ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპის დაცვა

არის დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის მონაწილე სახელმწიფოებს შორის მეგობრული და პარტნიორული ურთიერთობის განმტკიცების მნიშვნელოვანი პირობა.

5. აღკვეთენ თავიანთი ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად თავიანთ ტერიტორიებზე ორგანიზაციებისა და ჯგუფების შექმნას და საქმიანობას, აგრეთვე ცალკეული პირების მოქმედებას, რომელიც მიმართულია თანამეგობრობის მონაწილე სახელმწიფოთა დამოუკიდებლობის, ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ ან მიზნად ისახავს საერთაშორისო ურთიერთობის გამწვავებას.

6. ადასტურებენ, რომ მზად არიან ხელი შეუწყონ დავისა და კონფლიქტების მოწესრიგებას თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში შეთანხმებული მექანიზმების გამოყენების მეშვეობით, რომლებიც გათვალისწინებულია ამ მიზნებისათვის დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის, გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის ფარგლებში მიღებული შესაბამისი დოკუმენტებით.

7. თანამეგობრობის მონაწილე სახელმწიფოთა მეთაურები შეხვედრების დროს რეგულარულად განიხილავენ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ფუძემდებელი დოკუმენტების, საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და მათი ეფექტიანი დაცვის მიზნით ამ დეკლარაციაში განხილულულ საკითხებზე შეთანხმებების შესრულებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

ხელმოწერილია ქალაქ **მოსკოვში 1994 წლის 15 აპრილს** ერთ ნამდვილ ეგზემპლარად რუსულ ენაზე...

(გაზეთი "საქართველოს რესპუბლიკა", # 63, 1994 წლის 19 აპრილი)